



**სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის  
აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 2 დეკემბრის  
სხდომის ოქმი**

**სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია**

**მისამართი:** თბილისი ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N11

**სხდომის დაწყების დრო:** 19:00

**სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები:** დავით ასათიანი (თავმჯდომარე), გიორგი ტურაზაშვილი, გიორგი თევზაძე, ციციწო ცხვედიანი, ტარიელ კაკაბაძე, მარიამ კუბლაშვილი, დათუნა მოდებაძე.

**საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება**

**წევრები გაეცნენ:**

(ა) **ირინე ცინცაძის** განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტატუსი დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე,

რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწვევრიანების თაობაზე ან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა **გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ირინე ცინცაძის განცხადება გაწვევრიანების თაობაზე.**

**(ბ) სანდრო ბეკოშვილის** განცხადებას გაწვევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწვევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა **გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს სანდრო ბეკოშვილის განცხადება გაწვევრიანების თაობაზე.**

**(გ) მარალ გუსეინოვას** 2019 წლის 29 ნოემბრის განცხადებას (თანდართული დოკუმენტებით), თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 02 ოქტომბრის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის, ადვოკატთა ასოციაციაში გაწვევრიანებისა და გაწვევრიანებისთანავე წევრობის შეჩერების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ მარალ გუსეინოვამ 2018 წლის 2 დეკემბერს მონაწილეობა მიიღო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაში სამოქალაქო - ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით და დააგროვა 73 ქულა. მის მიერ გასაჩივრებულ იქნა 4 საგამოცდო ტესტური კითხვა და შედეგად, 2018 წლის 1, 2, 8, 9, 15 და 16 დეკემბერს ჩატარებული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგად შემოსული საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სამართლის ექსპერტთა ჯგუფის 2018 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით, მისი საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოემატა ერთი ქულა.

მარალ გუსეინოვამ 2018 წლის 1, 2, 8, 9, 15 და 16 დეკემბერს ჩატარებული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგად შემოსული საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სამართლის ექსპერტთა ჯგუფის 2018 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით, მარალ გუსეინოვას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

მარალ გუსეინოვამ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი 2018 წლის 1, 2, 8, 9, 15 და 16 დეკემბერს ჩატარებული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგად შემოსული საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სამართლის ექსპერტთა ჯგუფის 2018 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება, გასაჩივრებულ საგამოცდო ტესტურ N66 კითხვაზე ქულის მომატებაზე უარის თქმის თაობაზე და ადვოკატთა ასოციაციას დაევალა კანონით დადგენილ ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლითაც მარალ გუსეინოვას გასაჩივრებული საგამოცდო ტესტურ N66 კითხვაზე მოემატება 1 (ერთი) ქულა. აღნიშნული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

წევრები ასევე, გაეცნენ მარალ გუსეინოვას განცხადების იმ ნაწილს, რომლითაც იგი ითხოვდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციით ასოციაციაში გაწევრიანებას.

წევრებმა განაცხადეს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად, მარალ გუსეინოვასათვის ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის საგამოცდო ტესტურ N66 კითხვაზე 1 (ერთი) ქულის მომატება მიღებულ უნდა იქნას ცნობად და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, მარალ გუსეინოვას მიერ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებულ ქულას უნდა მოემატოს ერთი ქულა.

რაც შეეხება, მარალ გუსეინოვას მოთხოვნას ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე კანონის ძველი რედაქციის შესაბამისად, არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მიხედვით, ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება წარმოადგენდა ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების ერთ-ერთ წინაპირობას, სხვა კანონისმიერ წინაპირობებთან ერთად, რომელიც მოცემული იყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლში. შესაბამისად, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ავტომატურად არ გულისხმობს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებას, თუ არ არსებობს ერთდროულად სხვა წინაპირობებიც და პირის ნება ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე, რაც მარალ გუსეინოვას „ადვოკატთა

კანონში” ცვლილებების ამოქმედებამდე (01.01.2019 წელი) არ გამოუხატავს. ასოციაციაში გაწევრიანება მან 2019 წლის 29 ნოემბერს მოითხოვა.

ამასთანავე, წევრებმა აღნიშნეს, რომ 2019 წლის 1-ლი იანვრიდან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება, რომლითაც ადვოკატის სტატუსის მოპოვებისათვის სხვა კრიტერიუმებთან ერთად, სავალდებულოა 1 წლიანი ადაპტაციის პროგრამის გავლა, რომელიც შედგება 3 თვიანი თეორიული ნაწილისა და სტაჟირებისაგან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტი).

აღნიშნული დანაწესი ვრცელდება ყველა პირზე, რომელმაც ადვოკატთა ასოციაციას მომართა გაწევრიანების მოთხოვნით 2019 წლის 1-ლი იანვრის შემდეგ. კანონი ადაპტაციის პროგრამის გავლის თვალსაზრისით ითვალისწინებს მხოლოდ ერთ გამონაკლისს, კერძოდ, პირს, რომელსაც აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეედ, საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემის მოსამართლეედ ან/და პროკურორად მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება, მოეთხოვება მხოლოდ ადაპტაციის პროგრამის 3 თვიანი თეორიული ნაწილის გავლა და გათავისუფლებულია 9 თვიანი სტაჟირების ნაწილისაგან („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, მე-4 პუნქტი).

**საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე. ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებულ შემდეგი გადაწყვეტილებები:**

(ა) თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 2 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს ცნობად და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, მარალ გუსეინოვას მიერ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებულ ქულას მოემატოს 1 ქულა და აუნაზღაურდეს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 125 (ასოცდახუთი) ლარი;

(ბ) არ დაკმაყოფილდეს მარალ გუსეინოვას განცხადება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციით ასოციაციაში გაწევრიანებისა და გაწევრიანებისთანავე წევრობის შეჩერების ნაწილში, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო;

(გ) განმცხადებელს ეცნობოს გადაწყვეტილებისა და მისი გასაჩივრების წესის თაობაზე.

**საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება**

წევრები გაეცნენ ლევან ლომსიანიძის, დარეჯან ზედგინიძის, კახა კახოშვილის, სოფიკო სხილაძის, ავთანდილ ჯოხაძის და ელისო ონიანის მიერ ხელახალი გაწევრიანებისთვის წარმოდგენილ განცხადებებს.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზემოხსენებული პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“

საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის მოთხოვნებთან. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები:

(ა) „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ლევან ლომსიანიძის, დარეჯან ზედგინიძის, კახა კახოშვილის, სოფიკო სხილაძის და ავთანდილ ჯოხაძის მიერ ხელახლა გაწვევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადებები.

(ბ) ელისო ონიანს ეცნობოს მის მიერ დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტების (ნასამართლობის ცნობა, საწევრო დავალიანების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი) შესახებ და აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს მისი განცხადება ხელახლა გაწვევრიანების თაობაზე.

### საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა

წევრები გაეცნენ რუსუდან კერველიშვილის, ზაია ოტიაშვილის, თამარ ასათიანის, ნანა ვადაჭკორიას, დავით დალაქიშვილის, თამარ გოგიას და თეა თაყაძეს განცხადებებს, პირადი განცხადების საფუძველზე წევრობის შეჩერების შესახებ. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს არ გააჩნიათ საწევრო დავალიანება.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21<sup>2</sup> მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს რუსუდან კერველიშვილის, ზაია ოტიაშვილის, თამარ ასათიანის, ნანა ვადაჭკორიას, დავით დალაქიშვილის, თამარ გოგიას და თეა თაყაძის განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ.

### საკითხი 4. საწევრო გადასახადის გადავადების/გათავისუფლების თაობაზე განცხადებების განხილვა

წევრები გაეცნენ:

(ა) მანანა გელაშვილის 2019 წლის 21 ნოემბრის განცხადებას საწევრო გადასახადის გონივრული ვადით გადავადების თაობაზე;

(ბ) ირაკლი გაფრინდაშვილის 2019 წლის 2 ოქტომბრის განცხადებას საწევრო გადასახადის გონივრული ვადით გადავადების თაობაზე;

(გ) კახაბერ იოსელიანის 2019 წლის 2 ოქტომბრის განცხადებას საწევრო გადასახადის გონივრული ვადით გადავადების თაობაზე;

(დ) ვლადიმერ ნორაკიძის 2019 წლის 21 ოქტომბრის განცხადებას საწევრო გადასახადის 2020 წლამდე გადანაწილების თაობაზე;

(ე) რუსუდან კვინიკაძის 2019 წლის 15 ნოემბრის განცხადებას საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

წევრებმა განაცხადეს, რომ აღმასრულებელმა საბჭომ 2019 წლის 31 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება საშელავათო საწევროსთვის კრიტერიუმების განსაზღვრის შესახებ, რომლის თანახმად, წევრზე საშელავათო საწევრო გავრცელდება მის მიერ შესაბამისი განცხადებისა ან/და დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენის საფუძველზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ რუსუდან კვინიკაძეს არ აქვს წარმოდგენილი დოკუმენტი, რომლის მიხედვით საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ საშელავათო საწევროს გავრცელების საკითხზე.

**აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილებები:**

(ა) განცხადებები საწევრო დავალიანების გადახდის გადავადების თაობაზე დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და მათთვის საწევრო დავალიანების გადახდის საბოლოო ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2019 წლის 23 დეკემბრის 18:00 საათი;

(ბ) განმცხადებლებს ეცნობოთ მიღებული გადაწყვეტილებისა და განსაზღვრულ ვადაში საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შედეგების თაობაზე;

(დ) არ დაკმაყოფილდეს რუსუდან კვინიკაძის განცხადება საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე. განმცხადებელს განემართოს საშელავათო საწევროს გავრცელებისთვის დადგენილი კრიტერიუმების შესახებ.

საკითხი 5. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილების თანახმად, 2019 წლის 15 ნოემბრამდე საწევრო გადაუხდელობით პირთა მიმართ, 02.07.2019 წელს გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გავრცელება და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21<sup>3</sup> მუხლის, პირველი პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, წევრობის შეწყვეტაზე გადაწყვეტილების მიღება

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილების თანახმად, 2019 წლის 15 ნოემბრამდე საწევრო გადაუხდელობით პირთა რაოდენობამ დღევანდელი მდგომარეობით შეადგინა - 55 ადვოკატი.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რადგან აღნიშნული დავალიანების მქონე პირებიდან, 4 განმცხადებლის მოთხოვნა საწევრო დავალიანების გადახდის გადავადების თაობაზე დაკმაყოფილდა და გადახდის საბოლოო ვადად განესაზღვრათ მიმდინარე წლის 23 დეკემბერი, სამართლიანი და მიზანშეწონილია, 2017-2018-2019 წლების საწევრო დავალიანების მქონე პირებს მიეცეთ იგივე ვადა საწევრო დავალიანების გადასახდელად.

**აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:**

(ა) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილების თანახმად, 2019 წლის 15 ნოემბრამდე საწევრო გადაუხდელი პირებისთვის საწევრო დავალიანების გადახდის საბოლოო ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2019 წლის 23 დეკემბრის 18:00 საათი;

(ბ) წევრებს, რომელთაც აღმასრულებელი საბჭოს 21.10.2019 წლის გადაწყვეტილებით 2019 წლის 15 ნოემბრამდე გადაუვადდათ საწევრო დავალიანების გადახდის ვადა, ეცნობოთ, რომ განსაზღვრულ ვადაში საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, მათზე გავრცელდება 02.07.2019 წელს გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა;

(გ) აღნიშნულ პირებს ეცნობოთ მიღებული გადაწყვეტილებისა და გადავადებულ ვადაში საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შედეგების თაობაზე.

## **საკითხი 6. პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის დამტკიცება**

წევრები გაეცნენ ალექსანდრე კობაიძის 2019 წლის 27 ნოემბრის განცხადებას ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა სიაში შეყვანის თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელი აკმაყოფილებს პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მე-10 მუხლის, 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

**აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ალექსანდრე კობაიძე ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატად და შეყვანილ იქნას სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა სიაში.**

**საკითხი 7. ფასიანი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ განცხადებების განხილვა**

**წევრები გაეცნენ:**

(ა) საქართველოს სამართლის ინსტიტუტის განცხადებას ფასიანი აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე, თემა: „კერძო და ბიზნეს სამართლის აქტუალური პრობლემების შესახებ განგრძობადი იურიდიული განათლების კონფერენცია“;

(ბ) შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის განცხადებას ფასიანი აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე, თემა: „ბიზნესის სამართლის განგრძობადი იურიდიული განათლების მე-9 ეროვნული კონფერენცია“.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული განცხადებები განხილულ იქნა საგანმანათლებლო საბჭოს 2019 წლის 26 ნოემბრის სხდომაზე და დადგინდა, რომ ორივე განაცხადი შესაბამისობაშია აკრედიტაციის წესებით დადგენილ მოთხოვნებთან.

**აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს საქართველოს სამართლის ინსტიტუტის და შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის განცხადებები ფასიანი აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე.**

**საკითხი 8. ასოციაციის ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტის დებულებაში შესატანი ცვლილებების განხილვა;**

აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს გააცნო ასოციაციის ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტის დებულებაში შესატანი ცვლილებების პაკეტი, რომლის თანახმად, დებულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტში მიზანშეწონილია შევიდეს ცვლილება და კომიტეტის შემადგენლობა გაიზარდოს 30 წევრამდე და მე-6 მუხლს დაემატოს 6<sup>1</sup> მუხლი შემდეგი რედაქციით:

**„6<sup>1.1</sup> სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე დროული და ეფექტიანი რეაგირების მიზნით, კომიტეტთან იქმნება ექსპერტთა ჯგუფი;**

**6<sup>1.2</sup> ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა მტკიცდება ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ;**

**6<sup>1.3</sup> ექსპერტთა ჯგუფში გაწევრიანების უფლება აქვს ასოციაციის ყველა მოქმედ წევრს;**

**6<sup>1.4</sup> ექსპერტთა ჯგუფის წევრები აირჩევიან 2 წლის ვადით, განმეორებითი არჩევის უფლებით;**

**6<sup>1.5</sup> ექსპერტთა ჯგუფის კოორდინირებულად და ეფექტიანად საქმიანობას უზრუნველყოფს კომიტეტების კოორდინატორი“.**



წევრები გაეცნენ წარმოდგენილ ცვლილებებს. განსხვავებული მოსაზრებები არ გამოთქმულა. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტის დებულებაში შესატანი ცვლილებების პაკეტი სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 1).

#### **საკითხი 9. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე განცხადების განხილვა**

წევრები გაეცნენ მარიამ მამდარაშვილის 2019 წლის 27 ნოემბრის განცხადებას თანდართული ბიოგრაფიით ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მარიამ მამდარაშვილის განცხადება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე.

#### **საკითხი 10. საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი ძველი მოწმობის მოქმედების ვადის განსაზღვრის საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილების თანახმად, რითაც დამტკიცდა და 2019 წლის 1-ლი იანვრიდან ძალაში შევიდა საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობა ახალი დიზაინით და საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი ძველი მოწმობის მოქმედების ვადად განსაზღვრა 2020 წლის პირველი იანვარი, შეცვალა ასოციაციის 700-მდე წევრმა. შესაბამისად, ვინაიდან ასოციაციის წევრთა უმრავლესობას არ აქვს აღებული ახალი დიზაინის მოწმობა მიზანშეწონილია, საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი ძველი მოწმობის მოქმედების ვადა გაგრძელდეს ერთი წლით - 2021 წლის პირველ იანვრამდე.

წევრებმა გაიზიარეს თავმჯდომარის მოსაზრება და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი ძველი მოწმობის მოქმედების ვადა გაგრძელდეს კიდევ ერთი წლით. შესაბამისად, საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ ახალ მოწმობასთან ერთად ძველი მოწმობის მოქმედების ვადა განისაზღვროს 2021 წლის 1-ელ იანვრამდე.

2. აღნიშნულის თაობაზე ეცნობოთ ადვოკატთა ასოციაციის წევრებს;

3. აღნიშნულის შესახებ წერილობით ეცნობოთ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, პენიტენციური დაწესებულებებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს პროკურატურას.

**საკითხი 11. საერთო კრების საორგანიზაციო საკითხების განხილვა;**

თავმჯდომარემ წევრებს აცნობა კანონმდებლობით დადგენილი წესით ასოციაციის საერთო კრების მოწვევის თაობაზე და მიაწოდა ინფორმაცია საერთო კრების თარიღის, ადგილმდებარეობის, განცხადებისა და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების თაობაზე (დანართი 2).

**წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:**

1. ასოციაციის საერთო კრების მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 21 დეკემბერი;
2. საერთო კრება ჩატარების ადგილად განისაზღვროს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (მისამართი: ქალაქი თბილისი, წინანდლის ქუჩა N9);
3. ასოციაციის საერთო კრების მოწვევის შესახებ განცხადება და დღის წესრიგი დამტკიცდეს სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 2);
4. აღმასრულებელი საბჭოს შემდგომ სხდომაზე წარმოდგენილ იქნას მიმდინარე წლის 21 დეკემბრის ასოციაციის საერთო კრების რეგლამენტი;
5. ასოციაციის საერთო კრების მოწვევის შესახებ განცხადება და დღის წესრიგი ასოციაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდეს 2019 წლის 6 დეკემბერს.

**საკითხი 12. სხვადასხვა**

**წევრები გაეცნენ:**

(ა) ანა ხიზანიშვილის 2019 წლის 26 ნოემბრის განცხადებას, რომლითაც იგი ითხოვდა პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსისთვის გადახდილი საფასურიდან დარჩენილი 500 ლარის გადახდას აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული სტაჟირების პერიოდში.

წევრებმა განაცხადეს, რომ ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-14 მუხლის, 14.3. პუნქტით უკვე დადგენილია თეორიული კურსის საფასურის გადახდის შეღავათიანი გრაფიკი, რომლის თანახმად ადაპტაციის პროგრამის მონაწილის მომართვის საფუძველზე, თეორიული კურსის საფასურის გადახდა შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად, სწავლების 3 თვეზე გადანაწილებით.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად, მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს ანა ხიზანიშვილის 2019 წლის 26 ნოემბრის განცხადება, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსისთვის გადახდილი საფასურიდან,

დარჩენილი 500 ლარის აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სტაჟირების პერიოდში გადახდის თაობაზე.

**(ბ) ადვოკატ ნათელა გოდერიძის 2019 წლის 15 ნოემბრის განცხადებას,** რომლითაც იგი ითხოვდა ასოციაციის ეთიკის კომისიაში მის მიერ შეტანილ საჩივარზე კომისიის მხრიდან მიღებული გადაწყვეტილებებისა და იმ მტკიცებულებების გამოთხოვას, რომელიც მან წარადგინა კომისიაში. ასევე, განცხადებაში მოთხოვნილი იყო აღმასრულებელი საბჭოს მიერ ეთიკის კომისიის წევრების უფლებამოსილებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვა და ასოციაციის თავმჯდომარის მხრიდან ეთიკის კომისიის წევრების და ადვოკატის უფლებების დაცვის კომიტეტის წევრების ხელახალი არჩევნების ჩატარების ინიცირება.

წევრებმა განაცხადეს, რომ ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს და ეთიკის კომისიის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა ასოციაციის სამართლებრივი აქტებით. კერძოდ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლით და ასოციაციის წესდების მე-15 მუხლით დადგენილია აღმასრულებელი საბჭოს საქმიანობის სფერო და უფლებამოსილებები, ხოლო ასოციაციის წესდების მე-17 და მე-18 მუხლებით განსაზღვრულია ასოციაციის თავმჯდომარის უფლებამოსილებანი. ასევე, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და ასოციაციის წესდების 21-ე მუხლის, 21.8. პუნქტის თანახმად, ეთიკის კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და პროფესიული ეთიკის ნორმების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, რადგან აღნიშნულ განცხადებაში მითითებული მოთხოვნები არ სცდება ასოციაციის თავმჯდომარისა და აღმასრულებელი საბჭოსთვის „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ასოციაციის წესდებით დადგენილ უფლებამოსილებებს, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას, დააკმაყოფილოს ნათელა გოდერიძის განცხადება.

**აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად, მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება:** არ დაკმაყოფილდეს ადვოკატ ნათელა გოდერიძის 2019 წლის 15 ნოემბრის განცხადება, განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.

**(გ) ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ვლასი გარდაფხაძის 2019 წლის 01 ნოემბრის განცხადებას,** რომელიც ეხებოდა ქუთაისის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - იურიდიული განყოფილების უფროსის მიერ სამუშაო დროს, სამსახურის გარეთ კერძო საადვოკატო საქმიანობის გაწევის შესაძლო ფაქტებს. განცხადებას თან ერთვოდა მოქალაქის განცხადებების, ბაღდათის მაგისტრატი სასამართლოს სხდომის ოქმის და ქუთაისის საქალაქო

სასამართლოს განჩინების ასლები, სადაც მოსარჩელის წარმომადგენლად მითითებული იყო მოქალაქე მაია სვინტრამე-სანებლიძე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ მაია სვინტრამე-სანებლიძე (სიითი N1349) 2006 წლიდან ირიცხება ასოციაციის წევრად.

წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილ განცხადებას არ ახლავს დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ მაია სვინტრამე-სანებლიძე მუშაობს ქუთაისის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - იურიდიული განყოფილების უფროსის თანამდებობაზე. თუმცა, რადგან საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის, მე-3 პუნქტის თანახმად, ადვოკატი არ შეიძლება იმავდროულად იყოს „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირი ან სხვა პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით ეკრძალება საადვოკატო საქმიანობის განხორციელება, წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რომ ასოციაციის აპარატი დაუკავშირდეს ასოციაციის წევრს მაია სვინტრამე-სანებლიძეს (სიითი N1349) და აცნობოს წარმოდგენილი განცხადებისა და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის თაობაზე.

**აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.**

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: [www.gba.ge](http://www.gba.ge).

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

**დავით ასათიანი**

**თავმჯდომარე**